

სხდომის ოქმი №2

ქ.ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23

12 მარტი 2019 წ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეორე სხდომას ხელმძღვანელობდა მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარე - ირმა მგელაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ირმა მგელაძე - ადმინისტრაციული ერთეული - სარფი; თამაზ ფუტკარაძე - ადმინისტრაციული ერთეული - თხილნარი; გიული ბასილაძე - ადმინისტრაციული ერთეული - მახინჯაური; მანანა დიასამიძე - ადმინისტრაციული ერთეული - ახალმენი; გენადი შაშიკაძე - ადმინისტრაციული ერთეული - მაჭახელა; მერი ცინცაძე - ადმინისტრაციული ერთეული - კირნათი; ზურაბ რიჟვაძე - ადმინისტრაციული ერთეული - შარაბიძეები; ნინო ჩხაიძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის წარმომადგენელი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**

ლევან ტარიელაძე - ადმინისტრაციული ერთეული - ფერია; სოლომონ ცინცვილაძე - ადმინისტრაციული ერთეული - ორთაბათუმი; ომარ ბერიძე - ადმინისტრაციული ერთეული - ჭარნალი; ჯამბულ იაკობაძე - ადმინისტრაციული ერთეული - აჭარისწყალი;

**დღის წესრიგი:**

- 1.სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით არსებული პრობლემები.
- 2.ინფრასტრუქტურული მიმართულებით არსებულ პრობლემები.

**სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:**

1. სოფელ ზანაქიძეებში მოქალაქე რევაზ გათენაძის საცხოვრებელი სახლი მდებარეობს მეწყერსაშიშ ზონაში. აღნიშნული ტერიტორია საჭიროებს შესწავლას გეოლოგების მიერ და გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად საჭირო ღონისძიებების გატარებას.

2. სოფელ განახლებაში ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვს ცენტრალურ გზაზე ბორდიურის მოწყობას.
3. სოფელ კირნათში მიმდინარეობს წყლის მაგისტრალის მშენებლობის სამუშაოები. მშენებლობის პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია, ხოლო მეორე ეტაპი ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მოსახლეობა მოითხოვს დროულად დაიწყოს მეორე ეტაპის სამუშაოები. აღნიშნული წყლის მაგისტრალზე ასევე, უნდა დაერთდეს კირნათის საჯარო სკოლაც, რომელსაც ამ დროისათვის არ მიეწოდება წყალი.
4. სოფელ კობალეთისა და ზედა კირნათის დამაკავშირებელ გზაზე ძლიერი წვიმების დროს სოფლის მდინარის (ბამბათას ღელე) წყლის დონე იზრდება და შეუძლებელი ხდება მოსახლეობის გადაადგილება. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე საჭიროა სანიაღვრე არხის მოწყობა.
5. სოფელ სინდიეთში ცენტრალური გზის მიმდებარედ არის მეწყერსაშიში ზონა, ხშირია ქვათაცვენის პროცესები, მოსახლეობა მოითხოვს მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღოს ზომები შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.
6. შუა მახინჯაურში ცენტრალური გზის გარკვეული მონაკვეთები არის ძალიან დაზიანებული. აღნიშნული გზა ყოფს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიისაგან. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერიამ გაითვალისწინა მოსახლეობის თხოვნა და გზის დიდი ნაწილი შეაკეთა, თუმცა ნაწილი კვლავ სავალალო მდგომარეობაში რჩება. მოსახლეობა მოითხოვს ხელვაჩაურის მერიამ უზრუნველყოს აღნიშნული გზის მოწესრიგება, ან გაუწიოს მათ შუამდგომლობა შესაბამის სამსახურებთან საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით.
7. სოფელ თხილნარის და ზედა თხილნარის დამაკავშირებელი გზის დაახლოებით 2 კილომეტრიანი მონაკვეთი არის ძალიან ვიწრო. მოსახლეობა მოითხოვს მუნიციპალიტეტის მერიამ სამომავლოდ გაითვალისწინოს გზის აღნიშნული მონაკვეთის გაფართოების საჭიროება.
8. სოფელ სარფში მოსახლეობა მოითხოვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მოწყობას.

მსჯელობის შედეგად გამოვლენილი ზემოთ აღნიშნული საკითხები განსახილველად გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს და მერიის შესაბამის სამსახურებს რათა

შესაძლებლობის შემთხვევაში ეტაპობრივად გათვალისწინებული იქნას მუნიციპალიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმაში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა დასრულდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ირმა მგელაძე *ი. მგელაძე*

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

გიული ბასილაძე *გ. ბასილაძე*